პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
პარასკევი
8
აგვისტო
№ 182
(17825)
ფასი 2 კაპ.

ცხოვრების გმირი — ხელოვნების გმირი

ლოციალისტური რეალიზმის კლასიკად, მისი ნოვატორული სულისკვეთების გამოხატულებად იქცა ნაწარმოებები, რომელთა ცენტრშია კომუნისტების, ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დრეკი მებრძოლების მკაფიო სახეები. უდიდეს მხატვრულ მასივად აღმართულა დღეს ლენინიანა, რომლის სათავეებთან იდგნენ მ. გორკი და ვ. მაიაკოვსკი. პროზისა და დრამატურგიის ისეთ ოვალსაჩინო ქმნილებათა გვერდით, როგორიც არის ა. ფადეევის „განადგურება“, დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, მ. შოლოხოვის „გატეხილი უამირი“, ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, ხალხის შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრდა ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა ჟანრებისა და სახეობათა ოსტატების ნიჭიერი ნაშუშევრები, ბ. იოჰანსონის ფერწერული ტილო „კომუნისტის დაკითხვა“, მ. რაიზმანისა და ე. გასარილოვიჩის ფილმი „კომუნისტი“, ა. მეფიროვის ლექსი „კომუნისტებო, წინ!“... ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რაც ლენინელი ბოლშევიკების სადიდებლად შექმნილა.

საბჭოელ ხელოვანთა ყოველი ახალი თაობა ისწრაფვის ღირსეული წვლილი შეიტანოს პარტიის გმირული ისტორიისა და აღშენებლობითი საქმიანობის გაშუქებაში, თავისებურად წარმოაჩინოს ახალი კომუნისტისა, რომელიც თითქოსდა მოიცავს სამყაროს საზრუნავსა და წუხილს, საზოგადოების შემოქმედებითს ენერგიას. ამ თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებები ძლიერია სიმართლით, ხიბლავს ადამიანს სიცოცხლის ნაოული საწყისების გამარჯვებისათვის ბრძოლის დრამატიზმით.

„საბჭოთა ადამიანებმა იციან: იქ, სადაც ჭირს, წინ არიან კომუნისტები. საბჭოთა ადამიანებმა იციან: რაც უნდა მოხდეს, კომუნისტები არ უმტყუნებენ, საბჭოთა ადამიანებმა იციან: იქ, სადაც პარტიაა, — იქ არის წარმატება, იქ არის გამარჯვება!“ სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების ეს სტაყვები დადასტურებულია ჩვენი საზოგადოების განვითარების მთელი გამოცდილებით.

ილაპარაკო დღეს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ცხოვრების, ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის დიალექტიკის მხატვრული ასახვის სიღრმესა და სისრულეზე, ნაშუშავს ილაპარაკო იმაზე, თუ რაოდენ წარმატებით წყდება ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტიული თემა, რა ადგილი უკავია კომუნისტის სახეს შექმნილ ხასიათებსა და ტიპებს შორის. გვაქვს თუ არა საფუძველი დავსჯერდეთ იმას, რაც გაკეთდა ამ თვალსაზრისით? სრულიადაც არა. ჯერ კიდევ მეტისმეტად ხშირად ხდება, რომ პარტიის საქმისათვის ნამდვილი მებრძოლები, მისი იდეებისა და მორალის მატარებლები მკითხველისა და მაყურებლის წინაშე წარმოდგებიან როგორც უფერული, მხატვრულად უსიცოცხლო, ადამიანურ განუმეორებლობას, მომხიბვლელობას მოკლებული ფიგურებად. აშკარად არ კმარა მასშტაბური ნაწარმოებები, უშუალოდ რომ ეხებოდეს პარტიული საქმიანობის სფეროს, მოწმობდეს, თუ რა რთულ და მრავალფეროვან კოლიზიებს მოიცავს იგი, რა მაღალ სულიერ თვისებებს ითხოვს იმათგან, ვისაც მინიჭებული აქვს უფლება იყოს პარტიის ბის გამტარებელი, მისი ნების გამოხატველი.

ლენინური სკოლის კომუნისტის ტიპობრივი თვისებები გადმოსცეს მხატვრულად დამაჯერებელ სახეში ნიშნავს წვლილი შემატო თანამედროვეობის დადებითი გმირის პრობლემის გადაჭრას, წარმოაჩინო იმ პიროვნების სულიერი არსი, რომელიც შეგნებულად და მიზანდასახულად ქმნის ისტორიას. უკანასკნელი ხანის საუკეთესო ნაწარმოებებში ძალუმად გაისმის აზრი, რომ ნამდვილი კომუნისტი — ხელმძღვანელი იქნება თუ რიგითი მშრომელი — მუდამ ამოხატავს საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფო ინტერესებს. ისთვის სულაც არ არის სულერთი, რა ფასად მოიპოვა საწარმოო ნარმატება კოლექტივმა, რაიონმა, ოლქმა თუ რესპუბლიკამ. იგი ფლევანდელ საქმეებსა და ამოცანებს მომავლის პოზიციებიდან გადაჭყრის.

საამედო ორიენტირი იმ შემოქმედთათვის, რომელნიც ისწრაფვიან აჩვენონ პარტიული მუშაობის შემოქმედებითი ხასიათი, მისი ლენინური სტილი, ხაზგასმულ თანამედროვე კომუნისტი ხელმძღვანელის ფსიქოლოგიას, არის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები „მიცრა მიწა“, „აღორძინება“ და „ომირი“. ამ ნაწარმოებების ფურცლები იმ საბრძოლო და შრომითი გამარჯვებების ამაღელვებელი ატანია, რომელიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა.

ისეთი ნაწარმოებების გამოსვლა, რომელიც აშუქებს პარტიული ხელმძღვანელობის თემას და ხალხისათვის საყვარელი გმირი კომუნისტების სახეთა გალერეას ავსებს, ჩვეულებრივ, არა მარტო ულტურული, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირო ფაქტი ბდება. სავსებით ბუნებრივია მათ მიმართ პრესის ორგანოების, ლიერატურულ-მხატვრული კრიტიკის, შემოქმედებითი ორგანიზაციების გაზრდილი ყურადღება. მაგრამ საჭიროა არა მარტო ხაგუშეიროთ ყოველ წარმატებას ამ გზაზე, არამედ საფუძვლიანადაც გავაანალიზოთ ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში პარტიული თემის დამუშავების ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ამასთან დაკავშირებით ჭების ღირსია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამოცდილება. თავის დროზე მან მოაწყო საკავშირო შემოქმედებითი კონფერენცია თბილისში, სადაც გაიმართა სჯა-ბაასი ლიტერატურაში კომუნისტის სახის შესახებ. ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი განიხილეს ავრეთვე შემოქმედებითს კონფერენციებზე, რომლებიც ახლახანს გაიმართა შუშენსკოესა და ბარკოვში. პირველი მათგანი მიეძღვნა ლენინიანას, მეორე — ლიტერატურაში მუშათა კლასის ცხოვრების მხატვრულ ასახვას. ურიერ არ იქნება, თუ სკკპ XXVI ყრილობის წინ პარტიულ თემას ეტ ყურადღებას დაუთმობენ სხვა შემოქმედებითი კავშირებიც.

ჩვენი შემოქმედებითი კავშირების სამდივნოების გამსვლელ ბდომებს, კონფერენციებს, ხელოვნების დღესასწაულებს და სხვა ციებს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონში ეწყობა და მიზნად ისახავს გააძლიეროს შემოქმედებითი ინტელიგენციის კავშირი ალხლის ცხოვრებასთან, მასობრივი პროპაგანდა გაუწიოს სამამულო და მსოფლიო კულტურის მონაპოვრებს, აქტიურად უჭერენ 	რს ადგილობრივი პარტიული კომიტეტები. ეს კარი ტრადიციად და მისი შემდგომი განმტკიცებით საქმე მხლოდ მოიგებს. ცოცხალი კონტაქტები, ამხანაგური ურთიერთობა ამდიდრებს როგორც ბატვრულ ღირებულებათა შემოქმედ, ისე პარტიულ მუშაკებიც. საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ ერთმანეთის საზრუნავს, ეროვნის სპეციფიკას. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები პარტიულ თემატიკას რომ მიმართავენ, ამით იჭრებიან კარდინალური ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პრობლემების სფეროში, ეხებიან იმ უმთავრესს, რითაც დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს.

პარტიასთან მჭიდრო ერთიანობა, მისი დიადი იდეალებისადმი უწყვეტი რწმენა, მის გმირულ მიღწევებთან თანაზიარობა შთაგონებდა და შთაგონებს ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებს, ანიჭებს მათ თავიანთი საზოგადოებრივი მისიის დიდი მნიშვნელობის ბედნიერ შეგრძნებას.

ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია, შემოქმედებითი პრაქტიკა ადასტურებს მხატვრული კულტურის საკითხებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურყევი და თანამიმდევრული ხაზის ნაყოფიერებას. ცხოვრება სულ უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ პარტიული ხელმძღვანელობის ძალა იმის უნარი, რომ ფრთები ასახას ხელოვანს ხალხისადმი სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე.

მეშახტეთა პატაკი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ტყიბულის „აღმოსავლეთის“ შახტის კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვებით უპასუხა. შვიდი თვის გეგმა მეშახტეებმა ორი კვირით ადრე შეასრულეს.

საწარმოში გეგმასთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ტონა ქვანახშირის თვითღირებულება მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 64 კაპიკით დაიაფდა. მარტო ამ გზით დაიზოგა 60 ათასი მანეთი. ამავე პერიოდში თითოეული სანგრევის სადღეღამისო დატვირთვა 12 ტონით გაუდიდეს. ყველაზე სასიხარულო მაინც ის არის, რომ აქ ქვანახშირის ამოღება ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველ ექვს თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 79,7 პროცენტით გაიზარდა. ყოველივე ეს მიღწეულია ახალი საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, დისციპლინის განმტკიცებით. ახლა შახტში არ არის ჩამორჩენილი უბნები, ცვლები და ბრიგადები.

საექსპლოატაციო უბნების შორის დიდ წარმატებას აღწევენ ის შრომითი კოლექტივები, რომლებსაც სამთო ტექნიკოსები დ. მაღლაფერიძე, მ. ვარდოსანიძე და ნ. ქვარიანი უდგანან სათავეში. ახლახან შახტში ხალხმრავალი კრება გაიმართა. მისმა მონაწილეებმა გადასინჯეს ადრე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება და გადაწყვიტეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3500 ტონის ნაცვლად თითქმის სამჯერ მეტი — 10 ათასი ტონა სათბობი ამოიღონ.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ—ᲙᲘᲠᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ

კოვეგ უთუოდ. ასე სწამს ხალხს.

ლენტეხელმა მეცხოველეებმა, აქაურმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ იძიეს და მიაღწიეს მიზანს — მიაკვლიეს პიროუტყვისათვის საკვების დამზადების ადგილობრივ რესურსებს და ამ გზით თავი დაიღწიეს ჩამორჩენილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ლენტეხის რაიონის მშრომელთა ინიციატივა წლევანდელი გვალვით გამოწვეული სიძნელეების დასაძლევად გამოიყენონ საკვების დამზადების ყველა რეზერვი, კერძოდ — სენაჟი დაამზადონ მთის ბალახისა და ხეტეხილების ფოთლებისაგან, ხოლო სასენაჟე მწვანე მასის დასამზადებლად განკუთვნილი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ნარგავებისაგან დაამზადონ თივა და ამ გზით უზრუნველყონ პირუტყვისათვის ზამთრის საკვების დამზადების გეგმის შესრულება.

რაიონში რეზერვები იყო. მაგალითად: მეცხოველეობის ფერმებში შრომის დისციპლინის განმტკიცება და ზოოვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება, საგარგულების ხარისხიანი კულტივაცია, ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების ხვედრითი წილის გაზრდა, ორგანული და მინერალური სასუქების ეფექტიანი გამოყენება, ნათესების დაცვა და ბევრი სხვა. ეს ყველაფერი მეტ-ნაკლები სირთულის, მაგრამ საბოლოო ანგარიშით დასაძლევი პრობლემებია, რომელთა ლიკვიდაციისათვის ბრძოლით დაიწყო ლენტეხის რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ რაიკომის პირველი მდივნის გურამ გუნავას ხელმძღვანელობით.

ანდა რამდენი ჰექტარი სათიბსაძოვარი, რამდენი ბალახი იკარგებოდა უქმად მისასვლელი გზების უქონლობის გამო. ამ ორსამ წელიწადში 29 კილომეტრი სამანქანო გზები გაკეთდა, ხოლო ქალადაის მთაზე ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის სათიბებში მისასვლელად საბაგირო გზა კეთდება, რომლის დამთავრებას წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ.

აშენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 6 ფერმა, სადაც 1040 სული დაბინავდა. 8 ფერმაში უზრუნველყოფილია მექანიზებული დარწყურება.

რაიონში ჯიშობრივი გაუმჯობესებაზეც იზრუნეს — ბოლო სამ წელიწადში შემოიყვანეს 430 ფეიერა და წაბლა ყავკასიური ჯიშის დიკეული. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იყო. ამას გრძნობდნენ პარტიის რაიკომშიც და ადგილებზეც.

ახლა აღარც კი ახსოვთ, თუ პირველად ვის მოაფიქრდა ეს, ანდა ამ ბალახისათვის, სვანები „ღოღეს“ რომ ეძახიან და აქ ყოველი ფეხის გადადგმაზე ბიბილებს, სხვა თვალით შეეხედა — ზაფხულში ძროხა არ ეტანება მას, მაგრამ იქნებ სხვა ბალახთან არეული სენაჟად ჩადებული შეჭამოს პირუტყვმა!

უპირველესად იმის გარანტია იყო საჭირო, რომ ბალახი ცხოველისათვის მავნე რაიმე ნივთიერებას არ შეიცავდა. ამიტომ სოხოვეს სვანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის ერთ-ერთ ქვეკომისიას, რომელშიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები შედიან და რომელიც ამ კუთხის ბუნებრივ საფარს შეისწავლის, გაეკეთებინათ ანალიზი „ღოღესა“ და სხვა მცენარეებისათვის.

მეცნიერების დასკვნა ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა: სვანური „ღოღე“ „პოიარკოვას თავყვითელა“ აღმოჩნდა, მისგან, აგრეთვე „ხარისშუბლასა“ და სხვა ბალახებისაგან მიღებული სენაჟი ყუათიანობით თივას უტოლდება და უტაროო სიმინდის სილოსს აღემატება. უფრო მეტიც, მთის ზოგიერთი ბალახისაგან დამზადებული სენაჟი საკვები ღირებულებით ჩალის ტოლფასია. ამასთან ის უცილო უპირატესობა აქვს, რომ წვნიანი საკვებია და დადებით გავლენას ახდენს წველადობაზე.

ახლა მთავარი ის იყო, შეეჭამდა თუ არა ძროხა ახალ საკვებს. ამიტომ პირველ წელიწადს — ე. ი. 1978 წელს — საცდელად მხოლოდ 40 ტონა ჩადეს. ამასთან ბალახებს შეურიეს რცხილის, თხილის, მურყნისა და სხვა ხეტეხილის მწვანე ფოთლები.

ცდამ პრაქტიკულადაც გაამართლა; ამიტომ მომდევნო წელს უკვე 1.400 ტონა სენაჟი ჩაიდო მარტო ამ წესით. იმ ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახებით კი, რომლითაც ადრე სენაჟს დებდნენ, თივა დაამზადეს. ყოველივე ამან 1979 წელი რაიონის ისტორიაში მკვეთრი სასიკეთო შემობრუნების წერტილად აქცია. შესრულდა პირუტყვისათვის საკვების დამზადების გეგმა, უხეში საკვების დამზადების ტემპი 144 პროცენტით გაიზარდა.

წელს 2.500 ტონა სენაჟი უნდა ჩადონ ამ წესით. ჩადებულია 1.000 ტონაზე მეტი. ამისათვის 1.200 ტონის ტევადობის 9 სასენაჟე ორმოა აშენებული. ჩოლურის საბჭოთა მეურნეობაში უკვე დაამთავრეს ბარში თიბვა და ალპურ ზონაში ავიდნენ. შრომაში მაგალითს იძლევიან კომუნისტები: ჭიჭიკო ხაბულიანი, ვლადიმერ მუკბანიანი, ზურაბ ჯინჭარაძე, კომკავშირელი ისლამ ხაბულიანი. მეურნეობას თავის „რეკორდსმენები“ ჰყავს. ფიქრობ ონიანმა იკისრა მოთიბოს 55 ტონა ბალახი, უკვე 40 ტონაზე მეტი აქვს მოთიბული, მას მიჰყვებიან ბიძინა ჩარქსელიანი, ჯემალ ნემსაძე, ეკეტან ლიპარტელიანი, კორნელი ნიკარაძე და სხვები.

მეცხოველეობა რაიონის სხვა მოსახლეობაც ამოუდგა მხარში, მასობრივად გამოდიან შაბათობებზე. აქ მოქმედებს მატერიალური თუ მორალური წახალისების მრავალი ფორმა. შარშან ჩიხარეშის სკოლის დირექტორმა ბიძინა ხაჭვანმა, ჩოლურის საშუალო სკოლის პედაგოგმა ანზორ მუკბანიანმა, ლენტეხის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელმა ნუგზარ ონიანმა ალპურ სათიბებში თითოეულმა 15-18 ტონა ბალახი მოთიბეს, რისთვისაც ურიგოდ ავტომანქანები შეაძენინეს. ისინი, ვინც მეტ ბალახს მოთიბავს, ურიგოდ მიიღებენ იმპორტული ავეჯის გარნიტურს და სხვა დეფიციტურ საქონელს.

ურწმუნო ბევრია ირგვლივ. შეიძლება ვინმემ ეჭვის თვალით შეხედოს ყოველივე ამას. მათთვის რამდენიმე ციფრს მოვიყვან, რომელსაც, როგორც კონკრეტულ, ხელშესახებ ფაქტს, ვერსად გაექცევი — 1978 წლიდან რაიონში ერთ ფურზე საშუალოდ წველადობა 400 ლიტრით გაიზარდა; ხორცის წარმოების მატების ტემპმა 150 პროცენტს მიაღწია, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის საშუალო წონა 1976 წელთან შედარებით 51 კილოგრამით გაიზარდა. იმავე წელთან შედარებით წელს რაიონში 741 სულით მეტი პირუტყვი ჰყავთ. მატება ყველა მაჩვენებლის მიხედვით აშკარაა. ამასთან ნაკლები დანახარჯებით მეტი საკვების დამზადებამ პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა.

● გადაჭრილია პირუტყვის ზამთრის საკვების პრობლემა ● საკვების რეზერვი — მთის ბალახები და ხე-ბუჩქების ყლორტები ● სიახლის დიდი ეკონომიკური ეფექტი.

ᲚᲔᲜᲢᲔᲮᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

თუკი ეძიებ...

მუკბანიანმა, ლენტეხის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელმა ნუგზარ ონიანმა ალპურ სათიბებში თითოეულმა 15-18 ტონა ბალახი მოთიბეს, რისთვისაც ურიგოდ ავტომანქანები შეაძენინეს. ისინი, ვინც მეტ ბალახს მოთიბავს, ურიგოდ მიიღებენ იმპორტული ავეჯის გარნიტურს და სხვა დეფიციტურ საქონელს.

ურწმუნო ბევრია ირგვლივ. შეიძლება ვინმემ ეჭვის თვალით შეხედოს ყოველივე ამას. მათთვის რამდენიმე ციფრს მოვიყვან, რომელსაც, როგორც კონკრეტულ, ხელშესახებ ფაქტს, ვერსად გაექცევი — 1978 წლიდან რაიონში ერთ ფურზე საშუალოდ წველადობა 400 ლიტრით გაიზარდა; ხორცის წარმოების მატების ტემპმა 150 პროცენტს მიაღწია, ხოლო სახელმწიფოსათვის მიყიდული პირუტყვის საშუალო წონა 1976 წელთან შედარებით 51 კილოგრამით გაიზარდა. იმავე წელთან შედარებით წელს რაიონში 741 სულით მეტი პირუტყვი ჰყავთ. მატება ყველა მაჩვენებლის მიხედვით აშკარაა. ამასთან ნაკლები დანახარჯებით მეტი საკვების დამზადებამ პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲗ

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია). ვადამდე 7 ოქტომბრისათვის გადავცეთ საექსპლოატაციოდ ბოლო, მეხუთე აგრეგატი, — ამ დღევიზით შრომობენ ენგურჰესის მშენებელ-მემონტაჟეები და წარმატებებსაც აღწევენ. მათ მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრეს მიმდინარე ხუთწლედის უკანასკნელი წლის პირველი ნახევარი. 18 მილიონ 366 ათასი მანეთის ნაცვლად ამ ხნის განმავლობაში შესრულებულია 19 მილიონ 427 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაც იანვარ-ივნისის გეგმის 105,8 პროცენტს შეადგენს.

კაშხალმშენის სამმართველომ მოიჯარადრე ორგანიზაციებთან ერთად 5 თვის გეგმა 103,1 პროცენტით, ხოლო ძალური კვანძის სამმართველომ 109,7 პროცენტით შეასრულეს.

ენგურჰესელებმა გადაწყვიტეს ახალი შრომითი შემართებით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝᲓ

„ᲑᲐᲖᲗᲘ“ არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც“ — დიდი ლენინის ეს სიტყვები განსაკუთრებული სიძლიერით ღღერს დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა წინაშე დასახულია ამოცანა ოპერატიულად და საქმიანად „გააშუქონ საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, უკეთ გამოავლინონ და გავრცელონ იმ შრომითი კოლექტივების, წარმოების მოწინავეთა გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს“.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი აცხადებს სარედაქციო კოლექტივებს, ღია კონკურსს საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გასაშლელად გაწეული ორგანიზატორული მუშაობისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონული და შრავალტრაჟიანი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ რედაქციებს.

კონკურსის ჟიური განიხილავს 1980 წლის 1 ივლისიდან 1981 წლის 1 მარტამდე გაზეთებში გამოქვეყნებულ და ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემულ მასალებს, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას ცალკეულ საწარმოებში და დაწესებულებებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფართოდ გაავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას, დადებითთან ერთად მკაცრად გააკრიტიკებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს და თვითანი ქმედითობით მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს შრომითს კოლექტივებს, რომ დიდსეულად შეეგებონ სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

დაწესებულია ხუთი პრემია:

ერთი პირველი პრემია — 500 მანეთი,

ერთი მეორე პრემია — 300 მანეთი,

და სამი მესამე პრემია — თითოეული 100 მანეთის ოდენობით.

რედაქციებმა საკონკურსოდ შეტანილ მასალები უნდა წარმოადგინონ 1981 წლის 15 მარტამდე მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

მასალებს თან უნდა დაერთოს საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისათვის რედაქციის მიერ გაწეული ორგანიზატორული მუშაობის მოკლე ანგარიში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში ბაღებს 500 ჰექტარი უჭირავს, რომელთაგან 350 ჰექტარი მსხმოიარეა. სიცხისა და გვალვის მიუხედავად მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ ხილის კრეფის საგეგმო დავალებანი.

კოლმეურნეობაში კონტროლი დაუწესეს და რაციონალურად იყენებენ სარწყავი წყლის ყველა რეზერვს.

ამ დღეებში კოლმეურნეობის მეხილეები თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერ ხილს კრეფენ. ეს 15 ცენტნერით აღემატება დადგენილ საგეგმო დავალებას.

ხილის კრეფაში თავი გამოიჩინა № 4 ბრიგადამ, რომლის წევრები არიან აშხო საბიაშვილი, თამილა ელბაქიძე, დალი ელბაქიძე და მეურნეობის მშრომელთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების სხვა მოწინავენი.

სურათებზე: მიმდინარეობს ხილის კრეფა; განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დ. ელბაქიძემ.

● ●

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲢᲧᲕᲘᲐᲕᲔᲚ ᲛᲔᲡᲘᲚᲔᲗᲐ ᲒᲐᲠᲐᲥᲐ

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Ფ. ᲥᲘᲕᲙᲝᲕᲡ

7 აგვისტოს ყირიმში მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ხანმოკლე დასვენებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევი სტუმარს ესაუბრა პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში საბჭოთა კომუნისტების საქმიანობის ძირითად მიმართულებათა შესახებ, დაახასიათა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში გადაწყდება მომავალ წლებში. ტ. ჟივკოვმა გაიცნო მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ხორცელდება ქვეყნის შინაგანი რესურსების გამოყენების ინტერესებისათვის, ილაპარაკა იმაზე, თუ რა მუშაობა წარმოებს ბულგარეთის კომპარტიის XII ყრილობის მოსამზადებლად.

საუბრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ყოველმხრივი ურთიერთობა წლითიწლობით სულ უფრო ღრმა, მჭიდრო და გულითადი ხდება. ვითარდება ორი მომეზი ხალხის დაახლოების პროცესი.

ინტენსიური ხასიათი მიენიჭა ეკონომიკურ თანამშრომლობას. მარტო 1980 წელს ბულგარეთში მწყობრში დგება საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აგებული ათობით უდიდესი საწარმო. თავის მხრივ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობს სსრ კავშირში საწარმოო სიმძლავრეთა შექმნაში. ეს პრაქტიკა გაფართოვდება მომავალ წლებში. კვლავაც გაღრმავდება სპეციალიზაცია და კოოპერაცია საწარმოო დარგში. საბჭოთა კავშირი და ბულგარეთი სხვა შომძმე ქვეყნებთან ერთად აპირებენ კიდევ უფრო განავითარონ შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება ეროვნული ეკონომიკების ეფექტიანობის ამაღლებისა და ამ საფუძველზე მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ საშხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა. პეკინის ჰეგემონისტური პოლიტიკა, რომელსაც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატები, აფერხებს აქ მშვიდობისა და სტაბილურობის ზონის შექმნას, ამ რეგიონის ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. სსრ კავშირი და ბულგარეთი მთლიანად იზიარებენ ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის მშვიდობისმოყვარულ და პრინციპულ მიდგომას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ურთიერთობიმოწესრიგებისადმი.

შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საერთაშორისო ასპარეზზე კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობის განმტკიცებას, სოციალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ, გლეხთა პარტიებთან და ორგანიზაციებთან, მთელ დემოკრატიულ ძალებთან კონტაქტებისა და ერთობლივი მოქმედების განვითარებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ჟივკოვის შეხვედრას, რომელშაც გულთბილობის ატმოსფეროში ჩაიარა, ახასიათებდა ყველა განსახილველ საკითხზე შეხედულებათა სრული ერთიანობა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი. (საკადესი).

ᲥᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ

ᲯᲐᲥᲐᲒᲣᲚ, საინტერესო შრომაში დრო სწრაფად გადის. თითქოს გუშინ იყო პარტიის XXV ყრილობამ გრანდიოზული მიზანდასახული ბანაკი, რომ წარმოაჩინა თითოეული ჩვენგანის წინაშე. უკან დარჩა ძიებებითა და შრომითი გამარჯვებებით აღსავსე ოთხი წელი და აი ცნობა პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ. დადგა ჟამი კიდევ ერთხელ განსჯისა და შეფასებისა. ჩვენივე ნამოღვაწარისთვის კიდევ და კიდევ თვალის გადავლებისა.

დიდი მიზნები, თავისთავად წარმშობს დიდ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას. ასე წარმოშვა ჩვენს ხალხში უდიდესი აღტაცება და შრომითი შემართება ჩვენი ეკონომიკის, სახალხო მეურნეობის ზრდის იმ პერსპექტივებმა. ასე ნათლად და აშკარად რომ დაგვანახა პარტიის XXV ყრილობამ. ამან, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი შედეგები მოგვცა. აკეთოთ თუნდაც ჩვენი რაიონის მაგალითი.

ქობულეთელმა მეჩაიეებმა ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულეს და წელს უკვე მომდევნო ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. წარმატებით შესრულდა ციტრუსების დამზადების სახელმწიფო დავალება. მარტო შარშან ასი ათას ტონაზე მეტი ციტრუსი მოგვრიფეთ.

ზოგ უბანზე უფრო საჩინოა წარმატება. ამ დღეებში, მაგალითად, საპატიო ნიშნის ორდენოსან ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაში ვიყავი. როდესაც აქაური გლეხაცის თავისუფალ შრომას უყურებ, ერთხელ კიდევ ფიქრობ იმაზე, თუ რა სასწაულის მოხდენა შეუძლია ადამიანის მარჯვენას. ოდესაც გაუვალი და უსიერი ტყე ბაღნარად არის ქცეული. ლარივით გაჭიმული ჩაის პლანტაციები თვალსა და გულს ახარებს. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ოჩხამურელებმა გეგმით გათვალისწინებულზე 1.500 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს სახელმწიფოს. აქ ჩაის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 10.680 კილოგრამს აღწევს.

ოჩხამურში დღეს ბევრია ისეთი მუშა, რომლის წლიური ხელფასი 10-15 ათას მანეთს აჭარბებს. სახელმწიფო პრემიის ლაურატის მექანიზატორ კ. სეფისკვერაძის რგოლის თითოეული წევრი ყოველწლიურად „საქართველოთი", 100 ტონამდე ჩაის კრეფს. ხოლო მ. კანდშეკა, ც. ბოლქვაძე, ო. ხიმშიაშვილი, რ. ჭუსეინოვა, მ. დედოვა და ბევრი სხვა ხელის აპარატებით ყოველდღე 350-400 კილოგრამ ჩაის კრეფენ.

ოჩხამურელთა მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია სწორ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რაიონში ისინი გამონაკლისნი არ არიან. ციცხლაურის, ჩაქვის, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობების, ბობოყვათის, ქვედა აჭყვის, ხეცუბნის კოლმეურნეობებისმშრომელთა ღირსეული წვლილია იმ წარმატებაში, რისთვისაც ქობულეთის რაიონი შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

როდესაც ჩვენს წარმატებებზე რატებით ყოველდღე 350-400 კილოგრამ ჩაის კრეფენ.

ოჩხამურელთა მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შეუძლია სწორ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობას. მაგრამ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ რაიონში ისინი გამონაკლისნი არ არიან. ციცხლაურის, ჩაქვის, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობების, ბობოყვათის, ქვედა აჭყვის, ხეცუბნის კოლმეურნეობებისმშრომელთა ღირსეული წვლილია იმ წარმატებაში, რისთვისაც ქობულეთის რაიონი შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

**ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘᲐ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲠᲫᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮ

საგვარეულო ღირსება

ბოროტმოქმედი შეიარაღებული იყო. იგი ზუსტად, დაუმიზნებლად ურტყამდა. მისი იარაღი შეუფერხებლად მოქმედებდა.

ეს ამბავი ღამით ხდებოდა ქალაქის განაპირა რესტორანში. რამდენიმე მოქეიფე ახალგაზრდამ უარი თქვა გადაეხადა შემქმელ-მესმეულის საფასური. მაში რაღაც მხიარული ფავზედობა გამოსჭვიოდა და აშკარად აბუზად ექცეოდნენ ოფიციანტ ქალს. მოვიდა დირექტორი, არც ის დაინდეს. „ფული? ვერ მოგართვით. ამა გადაგიხდეთ!“, — აქ მხიარულ დარდიმანდობას მუქარის ტონი შეეპარა და მაშინ დირექტორმა მილიცია გამოიძახა...

მხოლოდ ერთის დაკავება მოასწრეს, მაგრამ მას ფული არ აღმოაჩნდა, თუმცა ამჯერად სხვა, უფრო დიდ ანგარიშზეა ლაპარაკი. ეს იყო უსტყვო მამაკაცური საუბარი, ჭიბეების ამობერტყვა, ხრალი და შეკრული სუნთქვა... ბოლოს ხელიდან დაუსხლტა და ხალათჩამოგლეჯილმა წყვიადს მისცა თავი.

ღამის წყვდიადი, როგორც ცნობილია, კონტურებს უცვლის საგნებს, თვალს ატყუებს. როცა „იგი ქალაქ გამოჩნდა რესტორნის ეზოში, ასე, მოკვეჩვენა, რომ მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეპყრა. მან იარაღი შემართა და ყველანი ბავირინდეთ ქუხლის მოლოდინში. ტყვიელად. რამეთუ ის, რაც ჩვენ პარაბელუმის ლულად მოგვეჩვენა, აღმოჩნდა სალოკი თოფი, რომელიც მრისხანედ მიუშვირა მილიციის თანამშრომლებს, ტყვია კი, რომელიც მათ ესროლა, სტყვიერი იყო: აბა, გაბედეთ და დამპატიმრეთ! — მე თვით ამისა და ამის ძმისწული ვარო... და ბოლმა შინგანმა სამეთა სფერებში ფრიად ცნობილი გვარი. კანონის გუშაგთ ხელ-ფეხი შეეკრათ, რამაც დამნაშავეს ირონიული ღიმილი მოჰგვარა, წესრიგის ფორმიან დამცველებს წინ დემონსტრატიულად ჩაუარა და წავიდა ანგარიშის გაუნაღდებლად.

სასაცილოა? არა მგონია. ანეგდოტია? არა, ეს რეალურად მომხდარი ამბავია. ამის მოწმე იყო მოსკოვის ოლიმპიადის წინ თბილისში ჩატარებული საერთაშორისო კონგრესის რამდენიმე ათეული მონაწილე, რომლებიც რესტორან „სამადლოში“ იყვნენ დამპატიჟებული შაბათს, 12 ივლისს.

მაშ ასე, ბოროტმოქმედს ხელთ ეპყრა საკმაოდ ძველი, მაგრამ ასევე საკმაოდ ნაცადი იარაღი — ძალაუფლებით მოსილი ნათესავი! ან, იქნებ იცრუა კიდეც, ვითომ ეპყრა. ძველი, მაგრამ არა მოძველებული იარაღი, რომელსაც წამდაუწუმ იყენებენ ჩვენს დროშიც, და თითქმის ყოველთვის გაუმტყუნარი...

გვარს, რომელიც ტყვიასავით ესროლა ყმაწვილმა კაცმა მილიციელებს, აქ არ ვასახელებ სავსებით გასაგები მიზეზების გამო. ჯერ ერთი, ახლა, მას შემდეგ რაც ურჩი მოვალე გაჭრა, თითქმის შეუძლებელია დაადგინო, მართლა ძმისწულად ეკუთვნის თუ არა მთელ რესპუბლიკაში ცნობილ თავის ბიძას. და მეორე, თუნდაც მოჩვენებითი კი არა, ნამდვილი ძმისწული იყოს პატივცემული კაცისა. რა უფლება გვაქვს საქვეყნოდ გამოვაქვეყნოთ ეს კაცი? რა მისი ბრალია, რომ მისმა ნათესავმა, აბუჩად რომ იგდებდა და შეურაცხყოფდა ხალხს, დაივიწყა თავისი ქეთილშობილი ნათესაობა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როცა თვითონ აღმოჩნდა შეურაცხყოფილ-დამცირებული? ნუთუ პასუხი უნდა ვაგებინოთ ამ კაცს ომისათვის, რომ ვიღაცამ მისი პატიოსანი სახელი ანგარების მიზნით გამოიყენა?

თუმცა, ძველთაგანვე იკითხავდნენ ხოლმე, რომელი გორისა ხარო. ძველთაგანვე ერთის სარცხვეული მთელი საგვარეულოს სირცხვილი იყო. ისევე როგორც დიდება, დოვლათიანობა, ძალამოსილება, ნიჭი კაცისა საამაყო იყო მთელი გვარისათვის. იარაღი, რომელიც რესტორან „სამადლოში“ გამოიყენა ჩვენმა ურჩმა მოვალემ ქვის ხანაში იშვა კაეის ცულთან ერთად ან ცოტა მოგვიანებით. შეგვიძლია თუ არა გულგრილად ვუყურებდეთ გამოქვაბულის ველურს, რომელიც ქვის ნაჯახს უღერებს თანამედროვეებს? მაგრამ შეგვიძლია თუ არა დავამუნათოთ თანამედროვენი ოთისათვის, რომ მათ ესოდენ არათანადროულად დაიჩიეს უკან ამ არქაული იარაღის წინაშე? თავდაცვის ინსტიტუტი ადამიანს საუკუნეთა მანძილზე გამოუმუშავდა, თანაც თვით ჩვენს დღეებში — შედარებით ცოტა ხნის წინათ — ძალაუფლების მქონე კაცის ნათესავისათვის მიყენებული შეურაცხყოფა უბედურებად დაატყდებოდა ხოლმე თავს შეურაცხყოფილს. საამისო მაგალითის პოვნა, ალბათ, არ გაგვიჭირდება. ჰოდა, თავს წამოჰყოფს ხოლმე ადამიანში თავდაცვის ინსტინქტი: „ეშმაკსაც წაუღია!.. ერთიც ვნახოთ და, მართლაც ჩვენი მინისტრის მოადგილის ნათესავი?!“.

ქვის ცულები მუზეუმებში ინახება. ქვის ხანის ადამიანები, ფეოდალიზმის ეპოქის ეთიკას მუზეუმში ვერ შეტანი. იგი თავს იჩენს ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაში, შემოსილია თანამედროვე სამოსით და ვაი რომ, ხშირად მოხერხებულად ფარავს ბანჯგვლიან ველურს. იგი ადამიანთა ურთიერთობას განსაზღვრავს და აყალიბებს უმორესი წარსულის დებულებათა დონეზე, და რაც კიდევ უარესია—ჩვენი, დღევანდელი ადამიანები შევეჩვიეთ მას, გუშინდელს, დრომოქმულს, ზოგჯერ ვამართლებთ კიდეც, როგორც რაღაც აუცილებელს, ბუნებრივს, მაგალითად, ჩვენ ვამართლებთ მშობელს, რომელიც სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობს და საკუთარ პირმშოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს უქმნის. „მაშ რაო! — ვამბობთ ჩვენ. — ღვიძლ შვილზეც თუ ალარ იზრუნა?!“. ჩვენ რატომღაც ნაკლებად გვაწუხებს ასეთი მშობლიური მზრუნველობის შედეგები — ადამიანის ზნეობრივი დასახირება და სულიერი დასნეულება, კანონისა და სამართლიანობისადმი რწმენის დაკარგვა, ადამიანთა შეგნებაში იმ აზრის დამკვიდრება, რომ შემძლეს უფლება კანონიერი და ხელშეუხებელია.

რა ესაქმება ყოველივე ამასთან, ვთქვათ, ზუგდიდის რაიკომკავშირის მთავარ ბუღალტერს ბონდო გაბედავს, რომელსაც ძალზე სწყუროდა უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე მოეწყო თავისი ქალიშვილი? არაფერიც არ ესაქმება! და აი, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალში მიაგნო ხათრიან ადამიანებს, რომლებმაც მისი ქალიშვილი მოწონავე მუშაკად გააფორმეს, რის წყალობითაც მან ჩარიცხვისა და ორგანიზაციის ხარჯზე სტიპენდიის უფლება მოიპოვა.

ასევე არაფერი არ ესაქმება მორალთან რ. მენაბდეს. — „საქნავთობის“ საძიებო-გეოლოგიური პარტიის უფროსს, რომლის ქალიშვილმაც საწარმოო სტაჟის დებულების გვერდის ავლით მიიღო ჩარიცხვისათვის საჭირო საბუთები.

ყოველგვარ ძალას კარგავს სტაჟის შესახებ დებულება, როცა საბუთები უნდა მიიღონ ყმაწვილი კაცისგან, რომლის მამა რ. ცერცვაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსის მოადგილეა.

არაფრად აგდებენ არც სახელმწიფო, არც პოლიტიკურ, არც ზნეობრივ მოსაზრებებსა და ინტერესებს, როცა დგება დრო უთხრან საკუთარ შვილს: „ახლა ჯარში სამსახურის რიგმა მოგიწია...“, ახალქალაქის რათინის სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე მშობლები, მათ შორის ფერმის გამგე პ. ავეტისიანი, უბნის მმართველი ე. აბგარიანი და პედაგოგი ო. მარტიროსიანი ხელს უშლიდნენ თავიანთი ვაჟიშვილების გამოცხადებას რაიონული სამხედრო კომისარიატის გასაწვევ უბნებში. თითქმის ყოველი მათგანი ერთ-ერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომის სამხედრო-საალრიცხვო მაგიდის უფროსის კ. ისრაელიანის მაგალითს იმოწმებდა.

— ვითომ რაო, ეგ თუ მამაა, ჩვენ მამები არა ვართ?

თავის გამართლების საბაბი და მოტივები ძალზე მარტივი, ხშირად სრულიად პრიმიტიულია: „ყველა ასე შვრებაო“. ეს იწყება სახელმოხვეჭილი ადამიანების ბიოგრაფიაში ანალოგიური ფაქტების ენერგიული ძიება, რათა „ოგორმე გამართლონ თავიანთი საქციელი—კანონის თუ სინდისის წინააღმდეგ მოქმედება. თითქოს ვისიმე ზნეობრივი დაცემა მასაც ზნეობრივი მოვალეობიდან გაათავისუფლებდეს. ასე უფრო იოლია ცხოვრება, უფრო იოლია სამართლის გათელვა, საკუთარი დასახიჩრებული პატრიარქალური სულის დამშვიდება: „თუ ყველა და ყველაფერი გაიხრწნა, მე რა წეთელი კოჭი ვარო“. ეს — გახრწნა ფრიად ხელსაყრელია, თანაც ხელსაყრელია მატერიალურად.

რაკი ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზოგიერთი მოქალაქისათვის შეძლებულ, გავლენიან, სახელოვან ადამიანებთან ნათესაობა მატერიალური კატეგორიაა, ოქროს სამადია, რომლითაც ცოდვაა არ ისარგებლო. ნათესავების სარგებლიანობას ფულით, საჭმელ-სასმელით, დეფიციტური ნაწარმისა და საქონლის, ფუფუნების საგნების, სესსაციური ფეხბურთის მატჩების და ჩამოსული „ვარსკვლავების“ კონცერტების ბილეთების შეძენით, ურიგოდ დადგმული ტელეფონებით, ურიგოდ მიღებული ბინებით, დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განაწილებული ავტომობილებით აფსებენ... ალერსიანი, მუშტრული სიყვარულით არის გაბრწყინებული მათი თვალები, როცა სასოებით შესაქმერიან სახელგანჭოულ ძმებსა და თავგამოჩენილ ბიძაშვილებს; წარსულის გახსენება, ფაქიზი დამოკიდებულება, პატივისცემა მათი შეგნებიდან გამოდევნა ცნებებმა: „ბიძე!“, „ბიშოვე!“, „დაურეკე!“, „უთხარი!“, სისხლის ყივილი, განუმეორებელი სიყმაწვილის გამო სევდა, ერთად გატარებული ფეხშიშველა ბავშვობა, ერთად ცელქობა, ძმის მკერდზე დაფარული ცრემლების ხსოვნა, ახლობელთა სახეები — ყველაფერი დაჩრდილა და წალეკა გააფთრებულმა ვაჭრუკანულმა ინტერესმა. და ხშირად ყველას რიდი ჰყოფნის ძალა უკუაგდოს ხარბად გამოწვდილი ხელი, წინააღუდგეს ბერკანტლური პრეტენზიების ნიაღვარს. რას იზამ! თავს მოგჭრიან, საგვარეულოს შემარცხვენელთა შინა მთავრაცხავენ. ხედავ, რომ მათთვის შენი პიროვნება, შენი კაცური ღირსება კი არ არის ძვირფასი, არამედ ის, რომ შეგიძლია უშოვო, მოამარაგო, დოვლათი შეაძენინო... ჰოდა, გული გტკივა, როცა ხედავ, რომ ადამიანად კი არ მიაჩნიხარ, არამედ რაღაც საშუალებად თუ ფუნქციად, და მაინც ვერ ეუბნები უარს. ასეთნი ვართ — პატრიარქალურნი.

ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც თავზარი დაცა „სამადლოში“ წესრიგის დამცველთ, იმიტომ მოახერხა ეს, რომ უბრალოდ ვერა და ვერ აღმოიფხვრა ჩვენში ის წარმოდგენა, თითქოს ნათესაობა ყველაფერს ჩრდილავდეს, ყოველგვარ მოსაზრებას უკუაგდებდეს, ყოველგვარ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, ვერავითარ თხოვნაზე უარს ვერ გვიჭმევნებდეს. ერთნი ნათესაობას ფარად ხმარობენ, მეორენი — ხმლად, მესამენი — წარჩინების ნიშნად, დამსახურებად... რა დამსახურებად? იმად, რომ ეს პატარა კაცი სახელოვან გვარს ეკუთვნის!

ვაი, რომ, ცხოვრებაში „საგვარეულო ღირსებისა“ და ნამდვილი ადამიანური ნათესაური ურთიერთობის ეს მახინჯი ექსპლოატაცია ზზრარად სისხლისსამართლებრივ დანაშაულად გადაიზრდება ხოლმე. ოჯახური კავშირი დანაშაულებრივ კავშირად იქცევა, დიდი ნათესაობა წვრილმანი ინტერესების სასახურში დგება, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსი აძლევს კვალიფიკაციას: განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება და ქრთამები.

— ერთი ნათესავი მყავს — დიდი კაცია თბილისში, — აროწმუნებდა ტრავმატოლოგი ექიმი ი. გასიევი დამნაშავეთა ჯგუფს, რომელიც ქარელის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანაში თარეშობდა. — თუ გაგვიჭირდა გვიშველის, ოღონდ უხდა ვთხოვოთ...

50 ათას მანეთზე მეტი მიიღო გასიევმა დამნაშავეებისაგან თავისი გამოგონილი ნათესავის მოსაქრთამად. იმან კი არ უშველა...

დანაშაულებრივი საქმის ოჯახურ საწყისებზე ორგანიზაცია მის მონაწილეებს ყველაზე უტყუარად და საიმედოდ ეჩვენებათ, მარა! ბიძები, დეიდები, ბიცოლები, ძმისწულები, სიძეები, რომლებიც საერთო წარმომავლობით, ერთი სისხლით, გამდიდრების საერთო ინტერესით არიან შედუღაბებული, — რა შეიძლება იყოს ამაზე საიმედო! შეითქვიფანან და ერთმანეთს ეფიცებიან ერთგულებას, ერთმანეთს აფიცებენ წინაპრებსა და საგვარეულო ღირსებას, თითქოს თვით შეთქმის მიზანი არ ბილწავდეს წინაპართა ხსოვნას და იმავე საგვარეულო ღირსებას.

არა, აქ საიმედო ვერ იქნება ვერაფერი. მხოლოდ კეთილშობილ სისხლს შეუძლია სამარადისოდ შეაკავშიროს ადამიანები და მხოლოდ მაშინ, როცა ისინი კეთილშობილი საქმისათვის იღვწიან. დანაშაულებრივი ძმობა, რომელსაც სისხლით ნათესაობა უდევს საფუძვლად, განწირულია!

მაგალითები ვნებავთ? მაგის მეტი რა გვაქვს წარსულში? აი შედარებით ახალი მაგალითი. სადაცაა დამთავრდება სასამართლო პროცესი დანაშაულებრივი ჯგუფისა, რომლებმაც ხაშის საბჭოთა მეურნეობაში განსაკუთრებით დიდი თანხა დაიტაცეს. ყოფილმა საამჭროს უფროსმა მ. ჭუმბურიძემ ფალსიფიცირებული წვრილების დამზადებაში ჩააბა ძმა, ქვისელი და სხვა ნათესავები. დამტაცებელთა ძმობის საქმიანობა სამოლოდ სასამართლო განაჩენში შეჯამდება.

ამ დღეებში ერთმა უცხოელმა მოდვაწემ თქვა, პოლიტიკაში ნათესავების გამოყენება შეუწყნარებელიაო. ჩვენ დავსძენთ: არა მარტო შეუწყნარებელია, არამედ უპერსპექტივოც არის ნათესავების გამოყენება ყოველგვარ პოლიტიკაში, იქნება ეს ჭიანჭველის ფუსფუსი ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის გულისთვის თუ ინტრიგები თანამდებობის პირის საამებლად.

ჩვენში, საქართველოში მიღებულია დედის თუ მამის, ,ძმისა თუ, დის, შვილებისა თუ შვილიშვილების დაფიცება. ეს ტრადიცია იქიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი კაცი ელოლიავება სისხლით და სულით ნათესაობას, მას სურს სწამდეს, რომ ამქვეყნად მარტო არ არის, რომ ჰყავს ახლობლები, რომლებსაც შეუძლია დაეყრდნოს. იგი, ისევე როგორც შენ, ჩემო მკითხველო, ამაყობს თავისი ნათესაობით. ამ ნათესაობას უმადლის ყოველივეს, რაც აქვს — ფიზიკურ არსებობას და სიცოცხლეს. ომის წლებში მან გვიხსნა უმამობისგან, შიმშილისა და სიცივისაგან, მაგცა სახსარი და ძალა გვესწავლა მეცნიერებანი და ცხოვრების უმთავრესი მეცნიერება — სამშობლოს სიყვარული. შეგვაგნებინა, რომ მის წინაშე ჩვენ ჩვენი დედების შვილები ვართ, ხოლო მსოფლიოს წინაშე — ჩვენი მამულის შვილები... დიახ, ქვის ცულები მუზეუმებში ინახება. მაგრამ მუზეუმში ვერავინ შეინახავს საგვარეულო ღირსებას და პატიოსნებას. მაშ, დე, გრძელი იყოს მათი არსება, დე, წინააღუდგნენ დროის დამანგრეველ ძალას. ადამიანი ამაყობს იმით, რომ იგი მარტო არ არის ამ სამყაროში, რომ აქვს ფესვი და ყლორტი, რომ იყო დასაბამი და იქნება გაგრძელებაც. მაგრამ სწორედ ამიტომ მას უფლება არა აქვს და მოვალე არ არის სისხლით ნათესაობის მოსაზრებით აპსოლუტამდე განაღიდოს ნათესაური კავშირი, მას დაუქვემდებაროს მშობელ მიწასთან კავშირი და მინდობილი საქმე. სწორედ გვარის ღირსება მოითხოვს არა ვქმნათ ეს. რამეთუ ჭეშმარიტი საგვარეულო ღირსება სხვა არა არის რა, თუ არა სამშობლოს წინაშე ვალის ღირსება.

თეიმურაზ მამალაძე.

მოსკოვის ხელშეკრულების დიდი მნიშვნელობა

ბონი, 7 აგვისტო. „ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებიდან 25 წლის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, ადიდო ხელშეკრულება, რომლის მიზანია განამტკიცოს მშვიდობა და უშიშრობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაშრომლობას“. — განაცხადა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის სტენდიუმის წევრმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა კ. ბახმანმა იმასთან დაკავშირებით, რომ 12 აგვისტოს სრულდება ათი წელი, რაც მოსკოვში ხელშეკრულება დადო ამ ორმა სახელმწიფომ. მოსკოვის ხელშეკრულებამ, აღნიშნა მან, დაადასტურა თავისი დიდი მნიშვნელობა. სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დამყარდა მრავალმხრივი ურთიერთობა მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგში, აგრეთვე სხვა სფეროებში, რამაც გააფართოვა მათი თანამშრომლობა. საკმარისია ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა ამ პერიოდში ერთიანობით გაიზარდა.

ხელშეკრულების პოლიტიკური ბირთვია, ხაზი გაუსვა კ. ბახმანმა, მორიგებანი იმის შესახებ, რომ მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ყველა ხელშეუხებელი დარჩება ომისშემდგომი საზღვრები და ურთიერთობა.

ამასთან დაკავშირებით მან დაგმო დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმები და განაცხადა, რომ ამის თაობაზე გასული წლის დეკემბერში მიღებული ნატოს ბლოკის გადაწყვეტილებანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობას ბოლოს, 7 აგვისტოს „ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებიდან 25 წლის შემდეგ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, ადიდო ხელშეკრულება, რომლის მიზანია განამტკიცოს მშვიდობა და უშიშრობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაშრომლობას“. — განაცხადა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის სტენდიუმის წევრმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა კ. ბახმანმა იმასთან დაკავშირებით, რომ 12 აგვისტოს სრულდება ათი წელი, რაც მოსკოვში ხელშეკრულება დადო ამ ორმა სახელმწიფომ. მოსკოვის ხელშეკრულებამ, აღნიშნა მან, დაადასტურა თავისი დიდი მნიშვნელობა. სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დამყარდა მრავალმხრივი ურთიერთობა მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგში, აგრეთვე სხვა სფეროებში, რამაც გააფართოვა მათი თანამშრომლობა. საკმარისია ითქვას, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა ამ პერიოდში ერთიანობით გაიზარდა.

ხელშეკრულების პოლიტიკური ბირთვია, ხაზი გაუსვა კ. ბახმანმა, მორიგებანი იმის შესახებ, რომ მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ყველა ხელშეუხებელი დარჩება ომისშემდგომი საზღვრები და ურთიერთობა.

ამასთან დაკავშირებით მან დაგმო დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების გეგმები და განაცხადა, რომ ამის თაობაზე გასული წლის დეკემბერში მიღებული ნატოს ბლოკის გადაწყვეტილებანი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ევროპის მშვიდობას

საქართველოსა და ახალი ალბანეთის საგანგებო კორესპონდენტები ინფორმაციებს

[illegible]

[illegible] ალბანეთის [illegible] ელჩ [illegible] ალბანეთ [illegible] ელჩ [illegible] ალბანეთ [illegible] ელჩ [illegible] ალბანეთ

მხიარული დათუნია

ანუ ოლიმპიური მეჯლისის საიდუმლოებანი

— ახლა კი არავითარი საიდუმლოება აღარ მაქვს,— ღიმილით მეუბნება იოსებ მიხეილის ძე თუმანოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, 1980 წლის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის მასობრივი თეატრალიზებული წარმოდგენის მთავარი რეჟისორი. ჩვენ ვსაუბრობთ ლუჟნიკის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონის დიდი სპორტული არენის მეხუთე სართულზე მდებარე მის ოთახში. იოსებ თუმანოვი ბედნიერია და ამას არც მალავს. ანდა რატომ არ უნდა იყოს ბედნიერი, საბჭოთა ხელოვნებასა და საბჭოთა სპორტს, რომლებმაც გააოცეს (სხვა სიტყვას ვერც მოუძებნი ამას) პლანეტის მილიონობით ადამიანი მოსკოვის ოლიმპიური ასპარეზობის გახსნისა და დახურვის დიდებული ცერემონიებით, ტაშს უკრავდა მთელი მსოფლიო. მას კი უშუალო დამოკიდებულება აქვს ამ საქმესთან.

მეგობრები, რომლებიც თუმანოვთან ერთად მუშაობდნენ ორ წინაოლიმპიურ წელიწადს, მას მხედართმთავარს უწოდებენ. და კი სრული ჭეშმარიტებაა.

იმისათვის, რომ ასპარეზობის გახსნის დროს 17 ათას, მისი დახურვის დროს კი 9 ათას კაცს უხელმძღვანელო, დამეთანხმებით, მართლაც მხედართმთავრის ნიჭი და უნარი უნდა გქონდეს. მაგრამ თუმანოვი „ცრუმორწმუნეა“. ჟურნალისტებმა, რომლებიც დაინებით სთხოვდნენ ეამბნა თავისი შემოქმედების „საიდუმლოებათა“ შესახებ, პასუხი ვერ მიიღეს. იოსებ თუმანოვი ან ხუმრობით იცინოდა მათ თვალიდან ანდა ემალებოდა. და ახლა, როცა უკანასკნელი წერტილი დაესვა ასპარეზობის დახურვის ცერემონიას, იგი ამბობს: „ახლა კი არავითარი საიდუმლო აღარა მაქვსო“.

— გვითხარით, პატივცემულო იოსებ, დაგეწანათ თუ არა მ ა გ ვ ი ს ტ ო ს საღამოს მოსკოვის ცაში აჭრილ დათუნიასთან გამოთხოვება?

— ძალიან. მაგრამ 4 აგვისტოს ქვლავ ვნახეთ ერთმანეთი. დათუნია მეტად ჭკვიანი გამოდგა. როცა ლუჟნიკის სტადიონს გამოეთხოვა, იგი 800 მეტრ სიმაღლეზე ავიდა, როგორც ჩანს, იმ დღეს ჩვენი მზეთუნახავი მოსკოვის ხილვით დატკბა, შუადამისს კი უნივერსიტეტის მიღმა მდელოზე დაჯდა. გთხოვთ უყურადღება მიაქციოთ, მისთვის არავის დაუნიშნავს დაჯდომის რაიონი, არც ძირდაშვების დრო. ყველაფერი თვითონ გააკეთა.

— როგორც ცოცხალზე, ისე გველაპარაკებით მის შესახებ...

— სხვანაირად არც შემიძლია: დათუნიასთან განსაკუთრებით დიდი მუშაობა მოგვიწია. ჯერ ერთი—იყვნენ ადამიანები, რომლებიც დათუნიას გაფრენას ეწინააღმდეგებოდნენ, ამტკიცებდნენ, „დათვები არ დფრინავენო“. მერე, დამეთანხმებით, რვამეტრიან „მფრინავთან“ რეპეტიცია არც ისე ადვილია. ყოველდღე ხომ ვერ გავუშვებდით მას ცაში. ისე კი ორჯერ მაინც მივიეცით საშუალება, რომ 30-40 მეტრით ასულიყო და დედამიწას და შემდგ უკან დაბრუნებულიყო. დათუნია ურჩი გამოდგა. ხან გვერდზე გადატრიალდებოდა, ხან სხვა მხარეს მიფრინავდა. ძალიან ღელავდით, მაგრამ დახურვის დღეს არ გვიღალატა, თითქმ გამოსაშვიდობებლად დაგვიენია ლამაზად, კოხტადაც აფრინდა ზეცაში. ჩვენი დათუნია ჰელიოპოლის სავსე ნამდვილი აეროსტატია, მისი ტანი შედგება რეზინნარევი ნარმისაგან, რომელსაც ბევრი ნაკეი და სარქველი აქვს, მაგრამ დაუხმარებლად აფრენა გაუჭირდებოდა, რის გამოც ასეთ ბელიოუმით სავსე ბუთრები მივაშველეთ. როცა დათუნია დედამიწას „მოსწყდა“, მას ერთი სარქველი გაუღეს, რათა ნელ-ნელა გამოსულიყო გაზი. დათუნიას თვალს ადევნებდნენ. შეიქმნა „სადიერო“ ჯგუფი. მაგრამ მან არ გაგვაწვალა, თავი სადღაც სახლის სახურავზე ან ხის კენწეროზე როდი გვაძებნინა. მშვიდად დაეშვა მდელოზე. ახლა დათუნია უნიკალური, ერთადერთი თავისებური ოლიმპიური სუვენირია.

— დიახ, დათუნია, მართლაც რომ, მშვენიერია. მან ყველაფერი იცის, ორძელზეც ვარჯიშობს და ტაიჭზეც, მაგრამ გამოთხოვებისას, დათუნიას თვალი აუცრემლდა...

— ეს ჩემი დამსახურება როდია. საერთოდ, მინდა გითხრათ: ასპარეზობის გახსნისა და დახურვის ცერემონიაზე უზარმაზარი კოლექტივი მუშაობდა.

ჩემთან ერთად შრომობდა ლენინგრადელი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ბორის პეტროვი, შესანიშნავი ოსტატი, უკანასკნელი სპარტაკიადის მთავარი რეჟისორი, ოლიმპიადის მთავარი მხატვარი რაფიელ კაზაჩეკი. მთავარი ბალეტმაისტერი იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კრასნოიარსკის ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი მიხეილ გოდენკო, მთავარი დირიჟორი—სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდესი დმიტრიადი, მთავარი ქორმაისტერი—სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვლადის